13/07/2026

MES 4 26 0000914863

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29/06/2026
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო: 11:47 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე (II, III; IV საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ვასილ გონაშვილი (I საკითხი)
საბჭოს მდივანი: ზურაბ ქავთარია (II, III, IV საკითხი)
სხდომის მდივანი: ციური დურული (I საკითხი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2026 წლის 29 ივნისს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ვასილ გონაშვილი** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ- საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე - საბჭოს მდივანი;
4. **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ლევან ვეფხვაძე** - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
6. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ- ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
8. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ციური დურული** - სსიპ- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **ნინო მინდიაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ- ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. **ანა ჯავახიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **ლია ხარებავა -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
3. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
4. **სოფიკო ქურასბედიანი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
1. კახაბერ კორძაია - რექტორი;
2. მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. თამარ ინასარიძე - აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ვიცე რექტორი;
4. მეგი ხოსროშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. შალვა ჭკადუა - ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი;
2. ირმა შიოშვილი - პროფესორი, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
3. ნუნუ გელდიაშვილი - პროფესორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. სალომე თათულიშვილი - ასოცირებბული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. ლევან შავაძე - ასოცირებული პროფესორი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:

1. გიგა თვაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. ეკატერინე ბაკარაძე (III საკითხი);
2. ეკა ლეკაშვილი (IV საკითხი).

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 11:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II, III და IV საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ხოლო I საკითხს - ვასილ გონაშვილმა. აგრეთვე, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II, III, და IV საკითხებზე საბჭოს მდივანი იყო ზურაბ ქავთარია, ხოლო I საკითხზე სხდომის მდივანად განისაზღვრა ციური დურული.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. **შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

თვითაცილება განაცხადეს სერგო ჭელიძემ, ზურაბ ქავთარიამ, ნინო მინდიაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებს გააცნო მოქალაქე აბდულ ბასიტ ხანის (Abdul Basit Khan) მიერ წარმოდგენილი საჩივარი.

აღინიშნა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტმა, აბდულ ბასიტ ხანმა (Abdul Basit Khan), 2026 წლის 14 აპრილს ცენტრს მიმართა განცხადებით მისი უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. განმცხადებლის განმარტებით, იგი არის პაკისტანის მოქალაქე და რეგიონში არსებული კონფლიქტური ვითარების გამო, ვერ შეძლო საქართველოს საელჩოში განაცხადის წარდგენა, რის გამოც ვერ მოახერხა სასწავლო პროცესში ჩართვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებას მიმართა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით. დაწესებულებამ დააკმაყოფილა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნა, თუმცა შიდა რეგულაციებზე დაყრდნობით უარი განაცხადა გადახდილი თანხის დაბრუნებაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქმის განხილვის შედეგად ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა. შესაბამისად, ცენტრმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის ცდილობს სტუდენტთა უფლებების დაცვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას. ამასთან, მისი განმარტებით, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების თანახმად, დაწესებულებას აღნიშნული სტუდენტის მიმართ თანხის დაბრუნების ვალდებულება არ გააჩნია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 11:09
დასრულების დრო: 11:14

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№427842, 14/04/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- **არა**

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო მოქალაქე ქრისტინ აბსეის (Christine Absay) მიერ წარმოდგენილი საჩივარი. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომჩივანი იყო დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამამაზე ჩარიცხვის მსურველი.
მომჩივანი მიუთითებდა, რომ 2025 წელს მიმართა დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით, თუმცა, მისი განმარტებით, ჩარიცხვის პროცესი რამდენჯერმე გადაიდო. მომჩივანი ოფიციალურად სტუდენტად არ ჩარიცხულა და მას არ მისცემია სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ითხოვდა ცენტრის ჩართულობას და გადახდილი თანხის დაბრუნებას.
ცენტრი დაუკავშირდა დაწესებულებას, რომელმაც წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა და გადახდილი თანხა უკან დაუბრუნა.
ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქმის განხილვის შედეგად, ვინაიდან საკითხი დაწესებულების მხრიდან მოგვარებულია, შესაბამისად, ცენტრმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა შპს კავკასიის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტმა პარალელურად მიმართა როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებას, ისე ცენტრს. მისი განმარტებით, აღნიშნული გარემოების გამო საკითხი განხილვისთვის წარედგინა საბჭოს, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ სტუდენტის მოთხოვნა უკვე დაკმაყოფილებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 11:20
დასრულების დრო: 11:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№545272, 07/05/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ეკატერინე ბაკარაძემ აღნიშნა, რომ განხილვის საგანს წარმოადგენდა ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული 9 რეკომენდაციის ფარგლებში დაწესებულების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასება. აღნიშნული რეკომენდაციები უკავშირდებოდა მე-2, მე-4, მე-6 და მე-7 სტანდარტებს. ადმინისტრაციული წარმოება წარიმართა ონლაინ ფორმატში.
შეფასების შედეგად, მე-2, მე-4 და მე-6 სტანდარტები შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო 7.1 კომპონენტი, რომელიც მატერიალურ რესურსებს ეხება, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.
ეკატერინე ბაკარაძემ განმარტა, რომ დაწესებულებისთვის ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება ინფრასტრუქტურული საკითხები. ამასთან, აღინიშნა, რომ დაწესებულების გარემო უმეტესწილად ადაპტირებულია და უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი განვითარების გეგმა. მისივე განმარტებით, განვითარება მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში. რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან აღნიშნული საკითხები მხოლოდ დაწესებულებაზე არ არის დამოკიდებული. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება ფინანსური რესურსების მოძიება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
შალვა ჭკადუამ აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ვითარდება და სტანდარტებთან მიმართებით რეგულაციებით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები შესრულებულია. მისი განმარტებით, გაუმჯობესების შესაძლებლობა კვლავ არსებობს, თუმცა ამ დრომდე არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დაწესებულებაში გადაადგილების პრობლემა შექმნოდა.

შალვა ჭკადუამ ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას შემდგომი განვითარების მიმართულებით, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების გეგმა. ამასთან, მისი განმარტებით, წლიდან წლამდე უმჯობესდება ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:30
დასრულების დრო: 11:39

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
· **არა**

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
· **კი**
თვითაცილება განაცხადა თამარ გამსახურდიამ

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ განსახილველი რეკომენდაციები მე-7 სტანდარტს შეეხებოდა. მისი განმარტებით, პირველი რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ დაწესებულებას მკაცრად დაეცვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და სასწავლო პროცესი არ დაეწყო იმ სივრცეში, ვიდრე აღნიშნული ფართით სარგებლობის სამართლებრივი საფუძველი ოფიციალურად არ ექნებოდა მოპოვებული. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმად, ქ. ზუგდიდში, შარტავას ქუჩა №49-ში მდებარე უძრავი ქონება უნივერსიტეტის საკუთრებაშია რეგისტრირებული. ასევე,

წარმოდგენილი იყო რექტორის წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ აღნიშნულ სივრცეში სასწავლო პროცესი არ დაწყებულა. აღნიშნული გარემოება დადასტურდა ცენტრის მიერ განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებშიც.
ეკა ლეკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაცია მე-7 სტანდარტის ფარგლებში შეეხებოდა სარეკრეაციო სივრცეებისა და გასახდელი ზონების გაფართოებას, ასევე სტუდენტთა ნაკადების ეფექტიან მართვას, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მისი განმარტებით, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით განახორციელა ინფრასტრუქტურული სივრცეების ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც გაუმჯობესდა არსებული ინფრასტრუქტურის ფუნქციური გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

გიგა თვაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ორივე რეკომენდაცია შეასრულა, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შესწავლილი გარემოებებით დადასტურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:44
დასრულების დრო: 11:46

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული (ბრძანება №189285, 19/02/2026) ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 2026 წლის 29 ივნისს 11:47 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ელექტრონული ეროვნული ცენტრი
ზუსტად ასეთია
ელექტრონული